



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

26 ივნისი 2026



N 436/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობა: 1997 წლის 2 ივნისს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №0001 გარემოსდაცვითი ნებართვა. აღნიშნული გარემოსდაცვითი ნებართვის და კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მითითებულ პროექტზე 2021 წლის 24 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-735).

2016 წლის 28 სექტემბერს და 2017 წლის 18 ოქტომბერს ზემოაღნიშნული პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ასევე გაცემულია №44 და №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა საფუძველზეც, 2021 წლის 17 მაისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გაიცა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-664 და №2-665).

2023 წლის 4 აპრილს და 2024 წლის 23 სექტემბერს ზემოაღნიშნული პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე სააგენტოს მიერ ასევე გამოცემულია №150/ს და №532/ს ბრძანებები (სკრინინგის გადაწყვეტილებები), რომელთა საფუძველზეც, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გარემოზე ზემოქმედების შეფასებას არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენით (WREP) აზერბაიჯანიდან ნავთობის ექსპორტი ხორციელდება (კასპიის ზღვაზე მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სუფსის ტერმინალამდე). საქართველოს

ტერიტორიაზე საექსპორტო მილსადენის სიგრძე დაახლოებით 373 კმ-ს შეადგენს და იგი 3 სატუმბ სადგურს (PS11, PS13, PS15), 2 წნევის მარეგულირებელ სადგურს (PRS1, PRS2), 3 უკუსარქველს, 28 ჩამკეტ სარქველსა და სუფსის ტერმინალს მოიცავს. სუფსის ტერმინალიდან საზღვაო ჩასატვირთ პლატფორმამდე ნავთობის ტრანსპორტირება საზღვაო მილსადენით ხორციელდება. სატუმბი სადგურების ფუნქციაა მილსადენით ნავთობის გადატუმბვა საჭირო საექსპლუატაციო წნევის რეჟიმის უზრუნველყოფით, ხოლო სუფსის ტერმინალზე ხდება ნავთობის დროებითი განთავსება საცავებში (რეზერვუარებში), საექსპორტო საზღვაო მილსადენისა და საზღვაო ჩასატვირთი პლატფორმის საშუალებით ტანკერებში ჩატვირთვამდე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, PS 11 სატუმბი სადგური განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალ სამგორში, PS 13 სატუმბი სადგური – მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქსოვრისში, ხოლო PS 15 სატუმბი სადგური – ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ფლევში. უახლოესი საცხოვრებელი სახლი PS 11 სატუმბი სადგურიდან დაშორებულია დაახლოებით 1,87 კილომეტრით, PS 13 სატუმბი სადგურიდან – დაახლოებით 0,36 კილომეტრით, ხოლო PS 15 სატუმბი სადგურიდან – დაახლოებით 0,488 კილომეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სს „საქართველოს მილსადენის კომპანია“ საქართველოს ფილიალი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის შემდეგ ცვლილებებს: PS 11, PS 13 და PS 15 სატუმბი სადგურების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ძირითადი წყაროს ცვლილება, აღნიშნულ სატუმბ სადგურებზე არსებული დიზელის გენერატორების რაოდენობის შემცირება, მილსადენის მაგისტრალური ტუმბოების საკვამურების სიმაღლის გაზრდა, PS 11 და PS 15 სატუმბ სადგურებში განთავსებული დიზელის ავზების მოცულობის დაზუსტება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, PS 11, PS 13 და PS 15 სატუმბი სადგურების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის ძირითადი წყარო აღნიშნულ სატუმბ სადგურებზე განთავსებული დიზელის გენერატორებია (თითოეულ სატუმბ სადგურზე მოწყობილია დიზელის ორი გენერატორი). ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით დაგეგმილია სამივე სატუმბი სადგურის სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კუთვნილ ელექტროენერგიის ქსელთან დაკავშირება, რისთვისაც PS 11 სატუმბი სადგურისთვის გათვალისწინებულია 2,936 კმ სიგრძის, PS 13 სატუმბი სადგურისთვის – 0,5 კმ სიგრძის, ხოლო PS 15 სატუმბი სადგურისთვის – 0,3 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა. ქსელთან დაკავშირების ყველა სამუშაოს (ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანის ჩათვლით) სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ განახორციელებს. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, სატუმბ სადგურებზე არსებული ორ-ორი დიზელის გენერატორიდან თითო-თითო დემონტირდება, ხოლო დარჩენილი გენერატორები ავარიული სიტუაციის დროს იქნება გამოყენებული. ამასთან, სამივე სატუმბ სადგურზე განთავსებული მილსადენის მაგისტრალური ტუმბოების საკვამურების სიმაღლე 15 მეტრიდან 16 მეტრამდე გაიზრდება, ხოლო PS 11 და PS 15 სატუმბ სადგურებზე არსებული დიზელის ავზების დაზუსტებული მოცულობა, თითოეული მათგანისთვის, 100 მ³-ის ნაცვლად 90 მ³ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის, ასევე ხმაურის წარმომქმნელი წყაროების რაოდენობა მცირდება, ხოლო სატუმბ სადგურებზე განთავსებული მილსადენის მაგისტრალური ტუმბოების საკვამურების სიმაღლე 15 მეტრიდან 16 მეტრამდე იზრდება, აღნიშნული ცვლილებები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ობიექტის ნარჩენების მართვის საკითხების ცვლილებას არ უკავშირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სატუმბ სადგურებზე გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ცვლილება განხორციელდება სადგურების შიგნით, შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ტერიტორიის გაფართოებას/ახალი ტერიტორიის ათვისებას არ უკავშირდება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის, მცხეთის და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიებში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით.

სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით დადგენილი კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს საექსპორტო ნავთობსადენის დასავლეთი მარშრუტის საქართველოს სახმელეთო მონაკვეთის, სუფსის ტერმინალისა და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობის პროექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზმ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-735) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტ(ებ)ის სააგენტოსთან შეთანხმება. ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება.
4. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2021 წლის 24 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-735) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მისი შესრულება სავალდებულოა.
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს.
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის, მცხეთისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/436-21-4-202606260922>

